საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია. წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზინო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 633 ხუთშაბათი, ნოემბრის 29, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

## პუანკარეს მახინაციები.

გუშინდელ დეპეშებში მკითხველი წაიკითხავდა ცნობას, რომ პარიზში პრინც რუპრეხტის წარმომადგენელი საფრანგეთთან რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებსო. ეს მეტად დამახასიათებელი მოვლენაა გერმანეთის დღევანდელ მდგომარეობისათვის.

ამას წინად ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გასაკვირი არაა თუ საფრანგეთი ფარულად ხელს უწყობს გერმანეთში ფაშიზმის გამარჯვებას და მონარქიის აღდგენას.

ჩვენი იჭვი თითქოს მართლდება.

პრუსიის შემდეგ ბავარია გერმანეთის იმპერიაში უდიდეს და მნიშვნელოვან მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენს.

იგი დღეს ფაშიზმის და შავი რეაქციის ბუდეა და ალბად აქედან გამოფრინდებიან შავი ყორნის ბარტყები, რომელნიც აღადგენენ გერმანეთში ძველ რეჟიმს.

მოხერხებულად მუშაობს გაიძვერა პუანკარეს ხელი. პრუსიაში დაბრუნდა კრონპრინცი და დაბრუნდა რა თქმა უნდა გარკვეული მიზნით. იგი შეეცდება თავის „კანონიერ“ მემკვიდრეობის დაბრუნებას, თუ კი ამას გარემოება ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს. იმავე დროს ბავარიაში დაფაცურდნენ პრინც რუპრეხტის მომხრენნი და იქაური ფაშისტები ლამობენ გერმანეთში გეგემონიის ხელში ჩაგდებას. აი ორი კანდიდატი გერმანეთის იმპერიის ტახტის მაძიებელი და პუანკარე ერთის მიმართ მხოლოდ თვალებზე ხელს იფარებს და თითქოს კმაყოფილდება შტრეზემანის ცინიკურ განმარტებით: „კრონპრინცი გერმანეთის მოქალაქეა და ვინ დაუშლის აქ ცხოვრებასო“... დიახ პუანკარე, რომელიც ავაზაკურად შეიჭრა გერმანეთის მიწა-წყალზე, არ ერიდებოდა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა გაძარცვას, დაბეგვრას და დახოცვას, აქ კი გაჩუმებულია თითქოს ბრწყინვალე დეგენერატს ვერას უბედავს, მაშინ როდესაც ამ შემთხვევაში მგონია მეტი ზნეობრივი და პოლიტიკური უფლება აქვს. პუანკარე, რომელიც თავის ავაზაკობას რეინლანდში მხოლოდ იმით ამართლებდა, გერმანეთში რევანშის სული ტრიალებსო, გერმანეთი კვლავ ჩვენთვის საშიშიაო, ეხლა, როდესაც გერმანეთის ბედ-იღბალი ლამის არის კვლავ ხელთ ჩაუვარდეს იუნკრებს ხელში და აღდგენილ იქმნას ჰოგენცოლერნის ტახტი, ნამდვილი სიმბოლო რევანშისა, როდესაც გაბატონებული ფაშიზმი მხოლოდ და მხოლოდ რევანშის იდეით სულდგმულობს, პუანკარე არამც თუ არ მიმართავს საწინააღმდეგო ზომებს, პირიქით თითქოს ხელს უწყობს კიდეც.

სანამ პუანკარეს გერმანეთის სოციალ დემოკრატია სერიოზულ პოლიტიკურ და სოციალურ ძალად მიაჩნდა იგი მრისხანე ბრძანებებს უგზავნიდა გერმანეთს და იარაღს აყრევინებდა, არ ერიდებოდა სასტიკ ზომებს, მაგრამ დაინახა თუ არა ვისთან ჰქონდა საქმე და დარწმუნდა ამ „უნიადაგოთა“ სრულ გაკოტრება-გახრწნილებაში, მან პირი იბრუნა და ფაშისტებს თავზე ალერსიანად ხელი გადაუსვა. ესენი ხომ თავის და უნებლიედ პუანკარეს გულის ზრახვას განახორციელებენ: შექმნიან გერმანეთში დაუსრულებელ ქაოსს. ადვილად მოსალოდნელია ფაშისტების გამარჯვებამ გერმანეთში სამოქალაქო ომი გამოიწვიოს და ეს ალბად პუანკარესათვის სასურველია: ამ ომში შეეჯახებიან ერთმანეთს ფაშისტები და კომუნისტები, დეე ანადგურონ ერთმანეთი, ოღონდ კი გერმანეთი კარგა ხნით ქაოსში გაეხვიოს და საერთაშორისო ასპარეზზე არავითარი აქტივობის გამოჩენა არ შეეძლოს. მაგრამ კონტრიბუცია, რეპარაცია, ვერსალის ხელშეკრულობა?... ეს ყველაფერი ცოტაა, ამით მარტო როგორც ეტყობა ვერ კმაყოფილდება პუანკარე. მას უფრო რთული უფრო ფართე გეგმა აქვს.

ამ დღეებში მცირე ანტანტის კონფერენცია უნდა მოხდეს, დღიურ წესრიგში სდგას პოლონეთის წევრად მიღება. კარგა ხანია მცირე ანტანტა არსებობს, მაგრამ პოლონეთის საკითხი დღემდე ვერ იქნა გადაწყვეტილი, ალბად მცირე ანტანტის წევრთ მაინც და მაინც არც ისე სურდათ პოლონეთთან დაკავშირება, მაგრამ დღეს კი როგორც ეტყობა საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, და პოლონეთი ამაში იმდენად დარწმუნებულია რომ მცირე ანტანტას ჰპირდება, ბალტიის სახელმწიფოებსაც ჩავითრევ კავშირში.

ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ამას წინად ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელი პარიზში დიდის ამბით მიიღეს და მასთან სერიოზული მოლაპარაკება ჰქონდათ და ალბად აქ საბოლოოდ შემუშავდა პუანკარეს გეგმა. ამას ჰმოყვა მცირე ანტანტის კონფერენციის დანიშვნა და პოლონეთისადმი ფულით და იარაღით დახმარება.

როდესაც პუანკარემ პირველად შესდგა ფეხი რეინლანდში და გერმანეთს ჯარი მიუსია, ზოგიერთი წინდახედული და შორსმჭვრეტი ჩვენი ამხანაგები ამაში საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ მუქარას ხედავდნენ, მაგრამ მაშინ ეს აშკარად არ სჩანდა, მაგრამ დღეს კი თუ გავითვალისწინებთ ყველა ჩამოთვლილ ფაქტებს, თითქოს ნათელი ეფინება და აშკარავდება პუანკარეს ნამდვილი გეგმა და ზრახვანი.

ჩვენ ვიცით რომ პუანკარე პოლონეთს მუდამ აღიზიანებს რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ პოლონეთი მაინც ვერ ბედავდა და ალბად ბოდიშს იმით იხსნიდა, რომ ზურგს უკან გერმანეთი ედგა. მაშასადამე საჭირო იყო გერმანეთის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ ეს საფრთხე პოლონეთს თავიდან ასცდენოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი ხდებოდა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ რკინის რკალის გადაჭიმვა, დაწყებული ფინლანდიით და ბალკანეთით დამთავრებული. პირდაპირ გერმანეთისათვის ომის ატეხა და ამით საბჭოთა რესპუბლიკებთან ომში გართულ პოლონეთის უზრუნველყოფა ალბად პუანკარეს ჭკუაში არ უჯდებოდა:

ვინ იცის ანტანტის დანარჩენი წევრები ასეთ ომს როგორ შეხვდნენ.

რასაკვირველია ბევრით უკეთესია გერმანეთში სრული ქაოსი შექმნა, თვითონ თავით ფეხებამდე შეიარაღებული მის კარს იდგე და იმავე დროს მცირე ანტანტა საბჭოთა რესპუბლიკებს მიუსიო. და განა საბჭოთა რესპუბლიკების მოსპობა ათასწილ არ აუნაზღაურებს პუანკარეს კონტრიბუცია, რეპარაციებს?..

ადვილად შესაძლებელია, რომ გერმანეთის ფაშისტები და მეტადრე სტინესი პუანკარეს მოერიდებიან და აღუთქვამენ დახმარებას თუ არა, ნეიტრალიტეტს მაინც. პუანკარე დათანხმდება, რადგანაც კარგად იცის, რომ ფაშისტების გამეფებას გერმანეთში დაუსრულებელი ქაოსი მოჰყვება: „ტახტის“ ორი მაძიებელი ერთის მხრით და კომუნისტები და ფაშისტები მეორეს მხრით.“

ასეთი მდგომარეობა გერმანეთში თუ შეიქმნა, მაშინ პუანკარეს ანტანტის დანარჩენ წევრთა თვალში თითქოს ერთნაირი უფლება მიეცემა იარაღით ხელში იდგეს გამზადებული გერმანეთის წინააღმდეგ.

იქ კი, აღმოსავლეთით გაშვებული მაძებარი ძაღლები თვითონ დაუჭერენ „ნადირს“. ასე ოცნებობს ალბად პუანკარე, დარწმუნებული რომ ამ ჯოჯოხეთურ გეგმის განხორციელებაში არავინ ხელს არ შეუშლის...

მაგრამ ჩამოთვლილი ფაქტებს კიდევ ერთი დეპეშით დადასტურებული ფაქტი უნდა მიუმატოთ: რეინლანდში ფრანგების ორი პოლკი აჯანყდა და საფრანგეთის მემარცხენე პრესა ამაში ბრალს კომუნისტებს სდებს· მათი სიტყვით ოკუპაციით დაპყრობილ ადგილებში კომუნისტების პროპაგანდა პირდაპირ ხრწნის და შლის საფრანგეთის ჯარს. სრული ჭეშმარიტებაა.

კომუნისტები ამ საქმეში ნამდვილი „სპეცები არიან“, ეს ისეთი ფერმენტია, რომ საკმარისია მისი სულ პაწია ნაწილი რომ რძე აიჭრეს და ხონიცით აჭრილი რძე ისევ რძეთ ველარ იქცევა, თუნდაც ქვეყანა გადაბრუნდეს. ეს მხედველობაში უნდა იქონიოს პუანკარემ, როდესაც ჯოჯოხეთურ გეგმებს სთხზავს.

თავის თავად ცხადია რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მახინაციების დანგრევის საქმეში გერმანეთის კომპარტიას. და დიდ მის გონიერებას და წინდახედულობას უნდა მიეწეროს, რომ მიუხედავად ყოველგვარ პროვოკაციისა, არ მოედო ანკესს და თავისი ძალები შეინარჩუნა, არ გაება სამოქალაქო ომში.

საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატი თითქოს ინსტინქტით გრძნობს თუ რა დიდი როლი დაეკისრება გერმანეთის მუშათა კლას ახლო მომავალში და მხურვალე თანაგრძნობასთან ერთად აწვდის მას უხვ დახმარების ხელს. გააფთრებული, გონება დაკარგული კაპიტალიზმი თითქოს ბედის წერას აუტანიაო ისე მიისწრაფვის და თვითონვე აჩქარებს თავის აღსასრულის დღეს.

ი. გედევანიშვილი.

## სოციალისტი და კომუნისტი

პოლიტიკურ თერმინოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალისტის ცნებას. ეს ცნება ხშირ სახმარ ცნებად უქცევია პოლიტიკურ აზროვნების უკანასკნელ ეპოქას.

ძნელად თუ მოიპოვება ისეთი თერმინი, რომელსაც განევლოს ესოდენი ცვალებადობა შინაარსისა, როგორც თერმინ—**სოციალიზმს** და აქედან წარმოებულს თერმინს—**სოციალისტს**.

ენგელსი „კომუნისტური მანიფესტის“ შესახებ სწერს, რომ თერმინი **კომუნიზმი** მათ მიერ ნახმარი იყო, რადგან მაშინ **სოციალისტობაზე** პრეტენზიას აცხადებდენ ერთი მხრით უტოპისტები, ხოლო მეორე მხრით ყველა ის, ვინც სოციალური ბოროტების მოსპობისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ არ უარყოფდა არც კაპიტალს (რა თქმა უნდა, როგორც ისტორიულ კათეგორიას. ს. ა.) და არც მოგებას.

მაშინ—გვეუბნება ენგელსი,—**სოციალისტური მიმართულებად იწოდებოდა ბურჟუაზიული მიმართულება, ხოლო კომუნისტურად მუშური მიმართულებაო.**

ეს დაახლოვებით დღესაც ასე არის.

პროფესორი კ. დილი, გვეუბნება, რომ ფერეინის ერთ-ერთ კრებაზედ, სადაც ირჩეოდა სოციალური პოლიტიკის საკითხები, მე მოვისმინე, რომ ინგლისში სოციალისტს უწოდებდენ ყველა მას, ვინც მომხრეა რკინის გზების სახელმწიფოდ საკუთრებად ქცევისა.

ესევე ავტორი გვეუბნება გერმანეთის რეიხსტაგში მუშათა დაზღვევის საკითხის გარჩევისას ერთმა დეპუტატმა გამოსთქვა აზრი, რომ თუ ჩვენ მუშებს ხელფასზე დაუმატებთ წლიურად განსაზღვრულ თანხას, ჩვენ ამით შევდგამთ ფეხს სოციალისტურ სახელმწიფოშიო.

ასეთი მოვლენებისა და მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ისტორიულადაც სოციალიზმის სახელწოდება მრავალგვარ მიმართულებას შეუკავშირდა. სოციალისტებად ითვლება, როგორც სენ-სიმონი, რომელიც თავის ეკონომიურ სახელმწიფოში, მოგებას და საკუთრებას არ უარყოფს ისე ფურიე, რომელიც თავის ფალანსტერში საკუთრებას სააქციონერო საკუთრების ხასიათს აძლევს, რაც სავსებით ეტევა კაპიტალისტურ წყობილების ფორმებში.

სოციალისტად ითვლება ლასალი, რომელიც რეაქციის მამასთან ბისმარკთან პოლიტიკური კონტაქტი აქვს და რობერტუსიც, რომელიც სოციალურ მონარქიის იდეას გვაძლევს. ეს „სოციალისტი“ მხურვალე დამცველია აგრართა ინტერესებისაც.

სოციალისტის რიგებში ითვლება პრუდონიც, რომელიც თანასწორობის იდეით უარყოფს კაპიტალიზმს, ხოლო თავისუფლების იდეით ამხედრებულია სოციალიზმის წინააღმდეგ და გამოსავალს რუსეთის თემურ წყობილებაში ხედავს.

სოციალიზმისა და სოციალისტის თერმინის შემოფარგვლა ამითაც არ სრულდება. დღეს უკვე სოციალიზმის ეპიტეტით სარგებლობს სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, ქრისტიანული სოციალიზმი პროტესტანტული სოციალიზმი, კათოლიკური სოციალიზმი, ხალხოსნური სოციალიზმი, მარქსისტული სოციალიზმი.

დღესაც სოციალისტის სახელს ატარებს როგორც ჰენდენსონი და ჟუო, ისე კაუცკი და შეიდემანი, როგორც ბაუერი და ჰილფერდინგი, ისე ნოსკე და ვანდერველდე.

რაშია საქმე? სად იწყება სოციალისტის ცნების საზღვარი და სად თავდება იგი? როგორია სოციალიზმის გაგება საერთოდ?

მეტად ძნელია იმ არსებითი ნიშნის მონახვა, რომელიც ჩვენ მოგვცემდა **სოციალიზმის** საყოველთაო განმარტებას. კიდევ მეტი, არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ასეთი განმარტება

რუდოლფ შტამლერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ არსებობს სოციალიზმის ცნების საყოველთაო განმარტება და მისი ობიექტიური განსაზღვრა.

სოციალიზმის სახელწოდებითო, გვეუბნება, ხსენებული ავტორი, აღნიშნავენ სხვა და სხვა მიმართულებებს, რომელნიც ცდილობენ საერთო მნიშვნელობის სოციალური ფილოსოფიის შექმნას, მაგრამ ეს სოციალური ფილოსოფიაც არ ემყარება ერთ გარკვეულ პრინციპს, რომლის მიხედვით შეიძლებოდეს სოციალიზმის ცნების განმარტებას.

მაშ რა არის სოციალიზმი?

პრაქტიკამაც სოციალისტის სახელი გარყვნა და გააბახა, იგი დღეს ამშვენებს ისეთ რეაქციონურ ძალებს, როგორიც არის ფაშისტები. დღეს სოციალისტის არ ეშინია ბურჟუაზიასაც, რადგან დღეს „სოციალისტთა“ ლეგიონები ავსებს იმ რაზმს, რომელიც თავგამოდებით იცავს ბურჟუაზიულ კულტურას. მთელი მეორე ინტერნაციონალი ხომ „სოციალისტთა“ ინტერნაციონალია, რომელიც უფრო მტკიცე დასაყრდენია რეაქციის, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული ორგანიზაცია.

რუსეთში ესერებიც „სოციალისტების“ სახელით მოქმედებენ, მაგრამ კადეტებთან ხელი-ხელ ჩართული და ორივენი ერთად მეფის გენერლებთან შეხმატკბილებული მოქმედებენ სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სოციალისტის სახელწოდებით დღეს კიდევ არ სჩანს თუ საით მიდიხარ, ვისთან ხარ, რას აკეთებ. სოციალისტის ცნების ქვეშ დღეს არის რეაქციონური ბანაკის ერთგულესი წევრიც და რევოლიუციონური რაზმის საუკეთესო ჯარის კაციც.

დღეს სიტყვა **კომუნისტი** გამხდარია რევოლიუციონერის სინონიმად. ეს იმდენათ სწორია, რამდენადაც კომუნისტური პარტია და კომინტერნი ერთად ერთი რევოლიუციონური მებრძოლი ორგანიზაციაა.

აქ ჩვენ სოციალიზმისა და კომუნიზმის თეორეტიულ სხვაობის შესახებ არ ვლაპარაკობთ. ამ საკითხს გადასჭრის წარმოება-განაწილებასთან დაკავშირება საზოგადოების წევრის. ეს პრაქტიკულად მთელი რიგი პირობების და კონკრეტ ფაქტების გამო მოწესრიგდება ამა თუ იმ სახით მომავალ სოციალურ წყობილებაში.

დღეს კი, გარდამავალი პერიოდის სივრცეზედ ბრძოლის სტიქიამ მოგვცა ცნებათა გარკვეულობა. **სოციალისტის** ცნება იტევს ათასგვარ ჯურისა და ტიპის ელემენტს, რეაქციონერს, რენეგატს, შავრაზმელს, რევოლიუციონერსაც და სხვა, ხოლო **კომუნისტის** ცნება მხოლოდ რევოლიუციონერს.

დღეს ბურჟუაზიას საფრთხობელა **სოციალისტები** კი არ არის, არამედ **კომუნისტებია**, ამიტომ ეგ. წოდებულ საზოგადოებრივი აზრისათვის, რომელიც მუდამ ორ სავარძელში ცდილობს მოსვენებას, მისაღები და მოსათმენია **სოციალისტი**, მაგრამ მიუღებელი და მოუთმენელია **კომუნისტი**. ეს იმასაც ამტკიცებს, რომ **კომუნისტი** დიდათ დაშორდა მესჩანურ ჭაობს, ხოლო ინტერვალი ამ დაშორებისა ბარომეტრია რევოლიუციონური ატეხილობის.

ჩვენ ამხანაგები ამიერიდან შორდებიან **სოციალისტის** სახელწოდებას და იღებენ **კომუნისტისას.**

ეს ნიშნავს მეტ სიშორეს მომავალი, დეგრადაციის პროცესში მოქცეული საზოგადოებრიობიდან, მეტ სიახლოვეს მიმავალი აღორძინების პროცესში მყოფ საზოგადოებრიობასთან. ეს ნიშნავს მეტ გარკვეულობას რევოლიუციონურ ფრონტზედ, მეტ ბრძოლის ატანას მომავალი კულტურის პოზიციებზედ.

უკან რჩება **სოციალისტის** სახელწოდება თავისი ბუნდოვანებით, გაურკვევლობით, გაცვეთილი და შელახული შინაარსით, წინ არის **კომუნისტის** სახელწოდება თავისი სიცხადით, გარკვეულობით, მტკიცე და უმწიკვლო აზრით.

სერ. ამაღლობელი.

## პრესა

გაზეთი „მუშის“ № 309 ეხება მომჭირნეობის საკითხს მეთაურ წერილში **„ამას უნდა მიექცეს ყურადღება“**. მოგვყავს წერილი სავსებით.

კარგა ხანია, რაც მომჭირნეობაზე გვაქვს ლაპარაკი.

**ეს მართლაც რომ საჭირბოროტო საკითხათ გადაიქცა.**

რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ და ვეწვალოთ ჩვენი სოფლისა და ქალაქის ერთი მეორესთან დაახლოებაზე, თუ სოფელმა ქალაქის ნაწარმოების ყიდვა ვერ მოახერხა არაფერი არ გამოვა—სიტყვა-სიტყვათ დარჩება და გლეხკაცს ჩვენ მარტო დაპირებითა და იმედის მიცემით გულს ვერ გაუთბობთ, მის გულს მაინც ვერ მოვიგებთ.

ეს ისეთი ცხადი მოვლენაა, რომ არც კი ღირს ამაზე შეჩერება და მისი მტკიცება.

**რა გააიაფებს ჩვენ ქალაქის ნაწარმოებს?**

**რა მისცემს საშუალებას გლეხკაცს, რომ მისი ჭირნახულის ფასით მან თავის ცოლშვილს ჩააცვას და დაახუროს?**

აი ამას სჭირდება დაფიქრება და სასწრაფოთ რაიმე ზომის გამონახვა.

ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ქალაქის ნაწარმოების გაიაფება რაიმე განკარგულების დაწერით არ მოხდება.

უნდა ჩავყვეთ ძირში და დაწვრილებით გამოვარკვიოთ, თუ რატომ არის ასე ულმერთოთ გაძვირებული ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწარმოები. ამისათვის ჩვენ კიდევ ბევრი დროს დახარჯვა დაგვჭირდება.

მაგრამ დღესაც შეიძლება ზოგიერთ რამეზე მითითება და ყურადღების მიქცევა, რა აძვირებს ჩვენ ბაზრის საქონელს?

**პირველი და მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების მოწყობილება საკმაოთ მოცვეთილი და მოძველებული.**

საჭიროა მათი შეკეთება, **ჩვენი ტეხნიკის გაუმჯობესება.**

**ამის თავი ჩვენ დღეს-დღეობით არა გვაქვს.**

შეიძლება შევაკოწიწოთ რაც კი რამ გვაქვს ძველი, და როგორმე ავამუშაოთ, მაგრამ ახალის შეძენა და კაპიტალისტურ ქვეყნების დაწინაურებული ტეხნიკის გამოკიდება ჩვენ არ შეგვიძლია.

**მეორე გარემოება,** რომელიც გვაბრკოლებს ჩვენ ამ საქმეში, ეს ისაა, რომ ჩვენი **ვაჭრობის საქმე ვერ არის ხეირიანათ მოწყობილი.**

სანამ საქონელი ფაბრიკიდან მუშტარის ხელში მივიდოდეს ათასგვარი დაწესებულებისა და ხანდახან კი კერძო პირების ხელშიაც უნდა გაიაროს.

თვითეული მათგანი თავის **„ხარჯების“** ასანაზღაურებლათ ფასს უწევს ამ მის ხელში გავლილ საქონელს და ბოლოს მუშტართან მისული საქონელი, რა თქმა უნდა, თუ ერთი სამათ არა, **ერთმ ორათ მაინც ძვირდება.**

**ამ საქმის მოგვარება კი ჩვენ ხელთ არის.**

უმთავრესი საწარმოვო საშუალებანი სახელმწიფოს ხელშია.

მაშასადამე ჩვენი სამეურნეო დაწესებულების ხელმძღვანელებმა ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ საქონელს ზედმეტი **შუამავალი და შუაკაცები ჩამოაცალოს.**

ამ მხრივ დიდი სამსახური უნდა გაუწიოს ჩვენ მუშაობას **კოოპერაციამ.**

მას შეუძლია განდევნოს ვაჭრობიდან კერძო პირები და შუამავალი ჩარჩები.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

თვით ფაბრიკებში და ქარხნებში ჩვენ არ გვაქვს საქმე ისე დაყენებული, რომ ნაკლები ხარჯის გაწევით მეტი ნაყოფი გამოვალებით ჩვენ ნამუშევარს.

**ბევრგან კიდევ ბლომათაა თავშენახული აუარებელი მოსამსახურეები.**

შტატებს შემოკლება სჭირდება—**შემოკლება უმოწყალო და სასტიკი.**

გარდა ამისა, არის ერთი კიდევ გარემოება.

ზოგიერთ ჩვენ სამეურნეო დაწესებულებებში „სპეცებმა“ და არა სპეცებმა ძლიერ ხელ გაშლილი ცხოვრებას მიჰყვეს ხელი.

ეს ითქმის არა მარტო მათ შესახებ, ასეთები ბევრი სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებშიაც არის.

რაღაც უბედურათ შემოვიდა წესათ, რომ „პასუხისმგებელი“ მომუშავე (მათ რიცხვში ალაგ ალაგ ჩვენი ამხანაგებიც ურევია ხოლმე) უავტომობილოთ ფეხის გადადგმას არ კადრულობს.

კიდევ კარგი, როდესაც ეს მოგზაურობა სამსახურის გამო ხდება ხოლმე

მაგრამ რამდენია ისეთი შემთხვევა, რომ ავტომობილებში დაქიანობენ იმ დროს, როდესაც სამსახურის საქმე მოლეულია.

რამდენჯერ ყოფილა და არის ისეთი მაგალითი, რომ არამც თუ „პასუხისმგებელი ამხანაგი“, არამედ მისი მეუღლე და შინაურები ფეხს აღარ აკარებენ მიწას.

**რატომ, რისთვის?**

რა მოვალეა საბჭოთა ხელისუფლება, რომ ასეთი ამხანაგების ცოლებზე და ნათესავებზე ხარჯოს ჩვენი ღარიბი ხაზინის ქონება?

საბჭოთა რუსეთში ამ ჟამათ დიდი ბრძოლაა ავტომობილებზე უსაქმურ ხალხის კისრის ტეხის წინააღმდეგ.

**რა გვიჭირს, რომ ჩვენშიაც შემოვიღოთ ასეთი წესი?**

ჩვენ რა სხვაზე მეტი ავლა-დიდების პატრონი ვართ.

აქ მეტიც უნდა ვქნათ.

**ტფილისი შედარებით პატარა ქალაქია.** რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენი პასუხისმგებელი სპეცი ამხანაგები გაისარჯონ და ფეხით წავიდენ ხოლმე სამსახურში.

თვითეული ავტომობილის თითო დღის მუშაობა რამოდენიმე ათეულ სოფლელის გასაჭირს მოსწმენდდა პირს.

ჩვენ რომ ხაზინას ამ ხარჯების გაწევას მოვაშორებდეთ, შესაძლებელი იქნებოდა ეს ფული სოფლისთვის მისაწოდებელ საქონლის გაიაფებისათვის მოგვეხმარებია.

**აი ამას უნდა გამოსწორება, ამას უნდა ყურადღების მიქცევა.**

## ბოლო-ცნობები

(„ზაკროსტას“ ცნობები 28 ნოემბრიდან)

**— გერმანეთის კომპარტია გადადის არალეგალურ მდგომარეობაზედ.**

**— ალბერტის მთავრობა ბევრით არ უნდა განსხვავდებოდე შტრეზემანის მთავრობისაგან**

**— სამშაბათს ბერლინში იკრიბება საკანტროლო კომისია.**

**— გერმანეთის პარტიებს შორის სრული უთანხმოებაა და მთავრობის შედგენა ფერხდება**

**— ვეიმარის პროფკავშირთა კონგრესი შესდგა ერფურტში**

**— კონგრესმა მოითხოვა გერმანეთის პროფკავშირთა კონგრესის მოწვევა**

**— სოც.-დემ. პარტიის პროვინციალური პრესა უკმაყოფილოა ცენტრალურ კომიტეტების პოზიციისა**

## გერმანეთის ამბები

**ახალი მთავრობის შედგენისათვის.**

**ლონდონი.** პარიზში გერმანეთის ახალ კაბინეთს ახასიათებენ, როგორც შტრეზემანის კაბინეთს, ხოლო უშტრეზემანოთ.

**პარიზი.** როგორც ეტყობა, ახალმა კანცლერმა ალბერტმა უნდა შეადგინოს ისეთი მთავრობა, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდეს ორიენტაციის მხრით შტრეზემანის კაბინეთისაგან.

**ბერლინი.** კაბინეთის მდგომარეობა ჯერ გამოურკვეველია. „ფორვერტსის“ ცნობით, ყოფილი მინისტრი ალბერტი იმედოვნებს, რომ სამშაბათისათვის მოახერხებს კაბინეთის შედგენას.

**კომპარტიის არა ლეგალურ მდგომარეობაზედ გადასვლა.**

გერმანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა არ დაშალოს პარტიული ორგანიზაციები, მიუხედავად სექტის აღკრძალვისა, არამედ ცენტრალური მმართველობა გადაიტანოს საზღვარ-გარედ და წევრებს უხელმძღვანელოს არა ლეგალურის გზით.

**არეულობა უსურსათობის ნიადაგზედ.**

ჰილზენკირხენში, შაბათს უსურსათობის ნიადაგზედ მომხდარ არეულობის დროს, მოკლულია 6 კაცი. ასეთივე ცნობები არეულობის შესახებ მოდის რურის სხვა ქალაქებიდანაც.

**საკანტროლო კომისია.**

ლონდონის გაზეთ „ობსერვერს“ ბერლინიდან აცნობებს დიპლომატიური კორრესპოდენტი, რომ საერთაშორისო საკანტროლო კომისია იკრიბება სამშაბათს ბერლინში ინგლისის წარმომადგენელს კომისიაში ლორდმა კერზონმა დაავალა ხელი შეუშალოს კანტროლის შემოღებას გერმანეთის იმ ნაწილებში, რომლებზედაც არა ვრცელდება ბერლინის ავტორიტეტი. ინგლისის მთავრობის აზრით, არ შეიძლება მოეთხოვოს გერმანეთს ის, რის შესრულებაც შეუძლებელია

**კაბინეთის შედგენისათვის.**

ებერტს არ უცდია წინადადება მიეცა ნაციონალისტებისათვის, ეკისრნათ მათ მთავრობის შედგენა, და ეს დავალება პირდაპირ ალბერტს მიანდო. ეს გარემოება დიდ აღშფოთებას იწვევს ნაციონალისტებში.

სახალხო პარტია და შტრეზემანიც წინააღმდეგნი არიან ალბერტის კანდიდატურისა. ცენტრი იარჰყოფს ალბერტის კანდიდატურას, რადგანაც ამ უკანასკნელმა, როდესაც ის ომის დროს გერმანეთის კონტრ-დაზვერვას ხელმძღვანელობდა, დაკარგა ისეთი საბუთები, რომელთა გამოქვეყნებამ ომის დროს დიდად ავნო გერმანეთს. ასეთივე წინააღმდეგნი არიან ალბერტისა დემოკრატებიც სოც.-დემოკრატები ელიან მდგომარეობის გამორკვევას.

მემარჯვენე პრესა აკრიტიკებს ებერტს და ბრალად სდებს მას დიდი კოალიციის აღდგენის სურვილს.

ალბერტის ცდამ შეედგინა მთავრობა ჯერჯერობით უნაყოფოდ ჩაიარა. ებერტმა ალბერტი აღჭურვა უფლებით დაითხოვოს რეიხსტაგი.

—ალბერტის ცდა კაბინეთის შესადგენად საბოლოოდ დამარცხდა. ებერტისადმი მიმართულ წერილში ალბერტი აცხადებს, რომ, პარტიულ-პოლიტიკურის ხასიათის სიძნელეთა გამო, მასზედ დაკისრებული დავალების შესრულება შეუძლებელია.

ბურჟუაზიული პარტიები, მათს რიცხვში ნაციონალისტებიც, მოლაპარაკებას აწარმოებენ წმინდა ბურჟუაზიული ბლოკის შეკვრის შესახებ. რეიხს კანცლერის თანამდებობაზედ კანდიდატებად ასახელებენ ცენტრის პარტიის მეთაურს მარკსს და აგრეთვე დემოკრატიულ პარტიის წევრს კოხს.

— მთავრობის კრიზისის მიმდინარეობა ცხადი მაჩვენებელია პოლიტიურ პარტიებს შორის გამეფებულ უთანხმოება-შეურიგებლობისა. პირველში ებერტი მოლაპარაკებას აწარმოებდა ნაციონალისტების ბელადთან, გერგტთან, რომელმაც წინადადება მისცა ებერტს რეიხსკანცლერად დაენიშნა სახალხო პარტიის წევრები გენცე და შოლცი, ან ეხლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი იარრესი. შოლცმა განაცხადა, რომ სახალო პარტია თანახმაა მთავრობის გაფართოებაზე, თუ რეიხსკანცლერის თანამდებობა შტრეზემანს შერჩება. ებერტის პირვანდელი გეგმა, რათა ალბერტისათვის მიენდო საქმიანი კაბინეთის შედგენა, უკუგდებულია, ცენტრისა და დემოკრატების წინააღმდეგობის გამო, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან ბიუროკრატიული მთავრობისა. ცენტრის წინადადებით, კაბინეთის შედგენა მიენდო კარდორფს, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ნაციონალისტებთან, მაგრამ ეს უკანასკნელნი კარდორფის წინააღმდეგ წავიდნენ ნაციონალისტების უარის შემდეგ, კარდორფი შეეცადა შეედგინა მთავრობა ცენტრისა, სახალხო პარტიისა, ბავარიის სახალხო პარტიისა და დემოკრატების წარმომადგენლებისაგან; ამ მთავრობაში შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე სოც.-დემოკრატების ან ნაციონალისტების შესვლა. მას შემდეგ, რაც სახალხო პარტიამ უარჰყო ეს გეგმა, კარდორფმა უარი განაცხადა კაბინეთის შედგენაზედ. ამის შემდეგ და აგრეთვე გესლერთანა და ბრაუნსთან უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ, ებერტმა კაბინეთის შედგენა მიანდო ალბერტს, რომელთანაც იგი მჭიდრო კავშირში იმყოფება. როდესაც ალბერტმა, თითქმის, უკვე შეადგინა კაბინეთი, მემარჯვენე პარტიებმა და ცენტრმა დაიწყეს მის წინააღმდეგ ენერგიული კამპანია.

— „დეიჩე ცეიტუნგი“ მოითხოვს ებერტის გადადგომას. შტრეზემანისა და შოლცის რწმუნებით, სახალხო პარტია ურჩევდა ებერტს კაბინეთის შედგენა მიენდო გერგეტისათვის, და არა ალბერტისათვის. მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ მოიგონა ალბერტის დამარცხება ამერიკაში სადაც მას მოჰპარეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები, და ხაზი გაუსვა, რომ ალბერტის კანდიდატურა მიუღებელია ამერიკისათვის.

მემარჯვენე პრესა მიჰმართავს სექტს და იწვევს მას ენერგიულად ჩაერიოს პოლიტიკაში; მასვე აკისრებს მთელს პასუხისმგებლობას, თუ ვერ შესდგა ნაციონალისტური მთავრობა.

— ნაციონალისტები, სახალხო პარტია, ცენტრი და ბავარიის სახალხო პარტია შეთანხმდნენ შეადგინონ ბურჟუაზიული ბლოკი. გუშინ ებერტმა უარი სთქვა ამ პარტიების წარმომადგენლების მიღებაზედ და მიიღებს დღეს. ბურჟუაზიული ბლოკი კანცლერის თანამდებობაზედ ასახელებს შინაგან საქმეთა მინისტრს იარესს. ცენტრი ბურჟუაზიულ ბლოკში შესვლის პირობად სდებს ვეიმარის კონსტიტუციისა და ვერსალის ხელშეკრულების ცნობას ბლოკში მონაწილე პარტიების მიერ. დემოკრატებმა ჯერ-ჯერობით ნეიტრალი პოზიცია დაიჭირეს ბურჟუაზიული ბლოკისადმი.

**პროფკავშირთა კონგრესი.**

ვეიმარში თავმოყრილი საიდუმლო პოლიცია, ტყუილად ელოდებოდა პროფკავშირთა ადგილობრივ განყოფილებების კონგრესის გახსნას, რადგანაც სულ უკანასკნელ წამს კონგრესი გადატანილი იყო ერფურტში. კონგრესზედ მონაწილეობს 237 დელეგატი, მათში 105 კომუნისტი, 63 სოც.-დემოკრატი, 5 დამოუკიდებელი და 18 უპარტიო. პროფკავშირთა 60 განყოფილებისაგან მიღებულია მისალმება. დღის წესრიგში სდგას მუშათა ორგანიზაციების მდგომარეობის საკითხი.

პირველი მომხსენებელი აღწერს იმ უიმედო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებიან პროფკავშირების ბელადთა რეფორმისტული ტაქტიკის წყალობით, იმ ბელადებისა, რომელნიც სცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სამოქალაქო მშვიდობიანობა ომის დროს, რომელნიც ემხრობოდნენ ბურჟუასთან თანამშრომლობას და საბოტაჟს უწევდნენ ყოველგვარ რევოლიუციონურ გამოსვლებს. მომხსენებელი აღნიშნავს პროფკავშირების მეთაურების სრულს უმოქმედობას და წინადადება შეაქვს, გასწყვიტონ დაუყოვნებლივ ყოველგვარი კავშირი ბურჟუაზიასთან, რაც შეიძლება სასწრაფოდ მიიწვიონ ფაბკომების კონგრესი, უკუაგდონ რეფორმისტული მეთაურები და ყოველ ოლქში დაარსონ მოქმედების კომიტეტები.

მეორე მომხსენებელი წინადადებას იძლევა მოხდეს პროფკავშირების რეორგანიზაცია წარმოების პრინციპზედ, პროფმოძრაობაში იქმნეს ჩათრეული მუშათა მასა და ფაბკომები ჩაირიცხნენ პროფკავშირის ორგანიზაციებში.

ყველა ორატორები სასტიკად აკრიტიკებდენ გაერთიანებულ პროფკავშირების მეთაურთა ბოროტ მოქმედებას და აცხადებდენ, რომ კონფერენციამ უნდა შეატრიალოს მთელი გერმანეთის პროფმოძრაობა.

კონგრესმა დაათგინა გერმანეთის ყველა გაერთიანებულ პროფკავშირებში გაგზავნოს კომისია, რომელიც მოითხოვს პროფკავშირების არა ჩვეულებრივ კონგრესის მოწვევას; იმ შემთხვევაში, თუ კომისიებმა უარი მიიღეს ამ წინადადებაზედ, მაინ, კომისია დამოუკიდებლად თვითონ მოიწვევს კონგრესს.

კონფერენციამ მიიღო სამხედრო დიქტატურის საპროტესტო რეზოლიუცია და გამოიმუშავა მოწოდება გერმანეთის პროლეტარიატისადმი.

**გერმანეთის სოც.-დემ. შორის**

სოც.-დემ. პროვინციის პრესა სასტიკად აკრიტიკებს სოც.-დემ. ცენტრალურ კომიტეტის მოქმედებას მთავრობის კრიზისის დროს. „ჰამბურგერ ეხო“ აღნიშნავს, რომ პარტიის წევრები არ ენდობიან თავის ბელადებს. „ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგი“ ხაზს უსვამს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ შესძლო უკუეგდო კოალიციონური პოლიტიკა.

— ბერლინის ორგანიზაცია სოც.-დემ. პარტიისა მოითხოვს, შეკითხვა შეიტანონ სოც.-დემ. რეიხსტაგში პოლიტიკური პარტიების დევნის გამო.

— კარმა გააუქმა თავის განკარგულება სოციალ-დემოკრატიის პრესის აღკრძალვის შესახებ, ხოლო გამომცემლობის საქმე შეზღუდა სხვა და სხვა მოთხოვნილებებით.

**გერმანეთის მრეწველთა შეთანხმება საოკუპაციო მთავრობასთან**

**პარიზი.** საფრანგეთის პრესა დიდს ყურადღებას აქცევს გერმანეთის მრეწველთა და საოკუპაციო მთავრობის შორის მიღწეულ შეთანხმებას. გაზეთები ფიქრობენ, რომ ნახშირის გადასახადი დაფარავს საექსპლოატაციო ხარჯებს, ხოლო წმინდა მოგება წავა სარეპარაციო კომისიაში, ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

ნაციონალისტური პრესა, ემყარება რა პუანკარეს განცხადებას, ხაზს უსვამს, რომ რურში მიღწეული შეთანხმება ჰნიშნავს გერმანეთის მიერ წინააღმდეგობის ნამდვილად მოსპობას. ეხლა არავითარი დაბრკოლება არა არის, რომელიც ხელს შეუშლის საფრანგეთსა და გერმანეთს შორის სარეპარაციო მოლაპარაკების განახლებას.

კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ მიღწეული შეთანხმება ვერ შეუწყობს ხელს ხალხის კეთილდღეობას, რადგანაც ეს შეთანხმება მხოლოდ ერთი ჯგუფის სურვილის შესრულებას ჰნიშნავს.

**შეთანხმების დაწვრილებითი ცნობები.**

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ თანახმად გერმანეთის მრეწველთა და საოკუპაციო მთავრობის შეთანხმებისა, ნახშირის წარმოებები ვალდებული არიან მოკავშირეებს უფასოდ მიაწოდონ მთელი პროდუქციის 18 პროც., ხელმეორე გადაუხადონ საოკუპაციო მთავრობას გადასახადი, რომელიც ერთხელ უკვე გადაუხადა გერმანეთის მთავრობას და რომელიც მათ ეკუთვნოდათ რურის ოკუპაციის ხნის განმავლობაში, შეიტანონ გადასახადის 50 პროც., როგორც ჯარიმა გადასახადის თავის დროზედ შეუტანლობის გამო. წარსულ დროის ნახშირის გადასახადის საერთო ჯამი გამოანგარიშებულია 15 მილ. დოლლარად. წარმოებები ვალდებული არიან აგრეთვე გადაიხადონ 10 ფრანკი დოვე ტონა ნახშირზედ. მთელი თადარიგი, რომელიც დაგროვდა ა. წ. ოქტომბრამდის, გადადის საოკუპაციო მთავრობის კუთვნილებად. თავისუფალ გერმანეთში, ან საზღვარ-გარედ ნახშირის გატანის ნებართვას აძლევს რკინის გზების საფრანგეთ-ბელგიის მმართველობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადახდილი აქნება მთელი გადასახადი. რურის მარენველებმა ვერ შესძლეს დაებრუნებინათ ოკუპანტების მიერ კონფისკაცია ქმნილი წარმოებები. საოკუპაციო მთავრობა დათანხმდა მიწოდებული ნახშირი ჩასთვალოს სარეპარაციო ხარჯების ანგარიშში.

შეთანხმება ძალაშია 1924 წ. 15 აპრილამდე.

## უცხოეთი

**მთლიანი ფრონტი**

**პარიზი.** ფროსსარის ჯგუფის ცეკამ დაადგინა წინადადება მისცეს საფრანგეთის კომპარტიასა და სოციალისტურ პარტიას შექმნან ერთიანი მუშათა ფრონტი მომავალ პარლამენტის არჩევნებში.

**საფრანგეთის კომპარტიაში**

**პარიზი.** საფრანგეთის კომპარტიამ დაადგინა არ ეწინააღმდეგოს იმ ყოფილ წევრების დაბრუნებას პარტიაში, რომელთაც პარტია დასტოვეს კომინტერნის მე-4 კონგრესის შემდეგ თუ კი სცნობენ ისინი, რომ კომინტერნის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლა.

**დამოკიდებულება რუსეთთან**

**სტოკჰოლმი.** (შვეცია. სოც.-დემ გაზეთი „არბეიტერი“ აღნიშნავს რა რუსეთის ეკონომიურ აღორძინებას, ხაზს უსვამს, რომ რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ომის შემდეგ დაადგა მშვიდობიანი აღორძინების გზას და, რომ შვეციას უფრო ადვილად შეუძლიან აიტანოს ევროპის ეკონომიური დაუხმარებლობა, ვიდრე რუსეთისა.

**ვოროვსკის მკვლელობის გამო**

**რომი.** (იტალეთი). გაზეთ „დაჟირონდა“-ში მოთავსებულ წერილში, ენრიკო ფერნი ამტკიცებს, რომ კონრადის ბოროტმოქმედება წმინდა სისხლის სამართლის საქმეა, რომ მკვლელის პროცესი გადაიქცა ბოლშევიზმის საწინააღმდეგოდ მიმართულ პროცესად და, რომ ამის გამო გამოტანილი განაჩენი ამტკიცებს „ევროპის ბურჟუაზიის ზნეობრივ დეზორიენტაციას“.

**ბრძოლა კომუნიზმთან**

**ნიუ-იორკი** (ამერიკა) კომპერმა განაცხადა, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია შეუდგა ფულის შეგროვებას გერმანიის პროორგანიზაციების დასახმარებლად, გერმანეთში კომუნისტურ მოძრაობასთან საბრძოლველად.

**„შრომის თავისუფლების“ კანონი**

**ვარშავა.** (პოლონეთი) მთავრობის მიერ სეიმში შეტანილ „შრომის თავისუფლების უზრუნველმყოფელ კანონის“ პროექტში გათვალისწინებულია ხანგრძლივი დაპატიმრება მუშებისა გაფიცვისათვის საგაფიცვო აგიტაციისათვის, გაფიცულ ფაბრიკების რაიონში კრებების მოწყობისათვის და სხვა. კანონ-პროექტი აუქმებს კონსტიტუციის ძალით მუშებისათვის მიცემულ კოალიციის უფლებას.

# პროლეტარულ სტუდენტობის კვირეულის'თვის

## მ ო წ ო დ ე ბ ა

### პროლეტარულ სტუდენტობის დახმარებისცენტრალი კომისიისა

**ამხანაგებო და მოქალაქენო!** ოქტომბრის რევოლიუციამ ფართოდ გაუღო კარები მეცნიერებას და გახადა ის ხელმისაწვდომი მუშათა მასებისათვის.

მუშები დაზგებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალურად მათ არსებობას, მასიურად მოაწყდენ სკოლებს. მუშათა ფაკულტეტები აივსო მუშებით. ას ადგილზე ათასი კანდიდატია. შეუძლებელია ყველა იმათი დაკმაყოფილება, რომლებიც დაინტერესებული არიან სწავლით; ქალაქთან ერთად სოფელიც გზავნის ახალგაზრდობას ქალაქში სწავლის მისაღებათ.

ჩვენი მუშათა ფაკულტეტების მსმენელები თუ ისინი მუშაობენ წარმოებებში, ერთი საათითაც ადრე ვერ თავისუფლდებიან სამუშაოსაგან, არ სარგებლობენ არავითარი პრივილეგიებით, მაგრამ განთავისუფლებისთანავე ისინი მიეჩქარებიან მუშ ფაკულტეტში, სადაც მეცადინეობა გრძელდება 9 საათამდე. შემდეგ საჭიროა გაკვეთილების მომზადება სახლში, ხოლო დილით კვლავ სამუშაოზე წასვლა. ხშირად მუშებს მუშათა ფაკულტეტამდე აქვთ ერთი საათის სავალი გზა და სახლში ვერ ბრუნდებიან 10 საათამდე. მათ არა აქვთ დრო ძილისათვის, სწავლისათვის, არა აქვთ დრო დასასვენებლათ, მაგრამ იმზომ ძლიერია სწავლის წყურვილი, რომ ამ გაჭირვებას ისინი უძლებენ სიამოვნებით და ენტუზიაზმით.

მაგრამ ეს წარმოებებში მომუშავე მუშები ბედნიერდები არიან სტიპენტიანტებთან და უმუშევრებთან შედარებით, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია. სტიპენდიანტები ღებულობენ ფაქტიურად 5—7 საქონლის მანეთს და ამასაც არა თავის დროზე. ამ ფულით უნდა იცხოვრონ, ჩაიცვან ტანზე, იყიდონ წიგნები, გადაიხადონ ბინის ქირა (თუ ოთახი აქვთ), სინათლის, წყლის ფული და სხვა.

ამ სახელმწიფო სტიპენდიანტების ჯგუფის მდგომარეობა კიდევ არ არის ისე მწვავე, როგორიც უმუშევრების. უმუშევრებს არ აქვთ არც ეს უმნიშვნელო სტიპენდიაც, მათ არ აქვთ თავისი კუთხე, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობენ სწავლას და იბრძვიან ამისათვის და იმედი აქვთ, რომ გადალახავენ ყველა დაბრკოლებებს თავიანთი მიზნების განსახორციელებლათ.

ეს მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა შესახებ.

წელს უმაღლეს სასწავლებელში ჩვენ ვატარებთ კლასობრივ მიღებას და მივიღეთ უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკუმში 1800 კაცი.

მათი უმრავლესობა იმყოფება აუტანელ პირობებში. მათ არ აქვთ რაიმე შემოსავალი, უმნიშვნელო სტიპენდია; თუ რომელიმეს აქვს, არ აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნილებასაც. სტუდენტებს სძინავთ ქუჩებში, სასადილოებში, თავს აფარებენ ნაცნობებთან და ეწევიან ისეთ ცხოვრებას, რომელიც მათ დაღუპვისაკენ მიაქანებს.

ნუ თუ არ შეგვიძლია დახმარება გაუწიოთ საბჭოთა სახელმწიფოსათვის ასეთ ძვირფას ახალგაზრდობას.

აქ დასმულია საკითხი არა ქველმოქმედების, არამედ წითელ სპეცების საკუთარი კადრის შექმნის აუცილებლობის.

ამის შესახებ ბევრს ვლაპარაკობთ, მხოლოთ საქმით კი ძლიერ ცოტა კეთდება.

პროლეტარული სტუდენტობის დახმარების კვირეულის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ მიზნათ დაისახა შემდეგი:

1. იშოვოს ორი ან სამი სახლი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოსაწყობათ.
2. მოაწყოს სტუდენტების სასადილო.
3. მოაწყოს საექიმო დახმარება.
4. დაარსდეს სტუდენტების კოპერატივი და წინადადება მისცეს არსებულ კოოპერატივებს გაუხსნან მას კრედიტი.
5. შექმნას ფონდი სახელმძღვანელოების' ტანთსაცმელების, ფეხსაცმელების და სხვ. შესაძენათ.
6. შესძლოს სახელმწიფო სტიპენდიების თავის დროზე დარიგების მოწყობა, გაადიდოს სტიპენდიების რაოდენობა, წინადადება მისცეს სამეურნეო ორგანოებს გასწიონ ეკონომია და იკისრონ თავის თავზე სტიპენდიების განსაზღვრული რაოდენობის გაღება.
7. სტუდენტებისთვის მოეწყოს სამუშაოს მოსაძებნი ბიურო, მათი ურთიერთ-დახმარების კასები.

აი, ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს ცენტრალურ კომისიას და ის იმედოვნებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების, სამეურნეო ორგანოების და მშრომელთა ენერგიული დახმარებით ის შესძლებს ამ ამოცანების განხორციელებას.

აუცილებელი ფონდის შესაქმნელად დახმარების კვირეულის განმავლობაში მოეწყობა მთელი რიგი საღამოების, წარმოდგენების, კონცერტების. ყველა გაზეთები უშვებენ ცალკე ნომრებს, რომელთა საერთო შემოსავალი სავსებით მოხმარდება დახმარების ფონდს.

**ამხანაგებო და მოქალაქენო!** პროლეტარული სტუდენტობის დახმარების ცენტრალური კომისია მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება, გაუწიონ ყოველივე დახმარება და აქტიურად ხელი შეუწყონ ამ კამპანიის ჩატარებას.

ჩვენი ახალგაზრდა პროლეტარული სტუდენტობისათვის სამოსწავლო წლების უზრუნველყოფით ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენთვის წითელ სპეცების სათანადო კადრის შექმნას, რაც განამტკიცებს ჩვენს მიღწევებს და მონაპოვარს!

**პროლეტარული სტუდენტობის დახმარების ცენტრალური კომისია.**

### მიმართვა სამეურნეო ორგანოებისადმი.

პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია მიმართავს თხოვნით ყველა სამეურნეო წარმოებებს—ტრესტებს, სინდიკატებს, ბანკებს და სხვა სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს და კერძო ფირმებს მოათავსონ განცხადებები „ზარია ვოსტოკას“ სპეციალურ ნომერში, რომელიც გამოვა ორშაბათს 3 დეკემბერს.

გაზეთისა და განცხადებებისაგან შემოსული მთელი შემოსავალი გადაცემული იქნება პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების ფონდში.

**ცენტრალური კომისია.**

### პროგრამა გასართობებისა, რომელნიც მოწყობილი იქნებიან პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეულის განმავლობაში.

**ორშაბათს, 28 ნოემბერს** იწყება პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეული!

**ოთხშაბათს, 28 ნოემბერს:** წარმოდგენა სახალხო სახლში—„ნიკოლოზ 1-ლი“.

**ხუთშაბათს, 29 ნოემბერს:** კინო პალასი; „სტამბოლის მათხოვარა“ კინო-„მინიონი“—„ანნა ბოლეინ“.

**პარასკევს, 30 ნოემბერს:** რუსთაველის თეატრი:—თურქული დრამა.

**ორშაბათს, 3 დეკემბერს:** კინო-სეანსები კინო თეატრებში: „აპოლო“, „არფასტო“ და „სოლეი“.

**სამშაბათს 4 დეკემბერს:** რუსთაველის თეატრი:—პრემიერა „ადამიანი—მასსა“—ტოლლერის.

**პარასკევს, 7 დეკემბერს:** სახელმწიფო ოპერა—პრემიერა „თავადი იგორი“.

მთელი შემოსავალი ამ წარმოდგენებიდან, კინო-სეანსებიდან და სხვა გადაცემული იქნება პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების ფონდში.

---

### პოლონეთის მთავრობის მდგომარეობა.

**ვარშავა.** პოლონეთის მთავრობის მდგომარეობა ვერ არის მტკიცე, თუმცა დაუყოვნებლივი კრიზისის საშიშროებამ გაჰვლო. მდიდარი გლეხები ვიტოსის ჯგუფიდან უკმაყოფილონი არიან კუხარსკის ფინანსიური პოლიტიკისა. დუბანოვიჩის ჯგუფის მსხვილი აგრარიები, როგორც ეტყობა, წინაალმდეგნი იქნებიან გადასახადების ოქროს ვალიუტით გამოანგარიშების კანონ-პროექტისა, რომელსაც მხარს უჭერენ სახალხო დემოკრატები და მემარცხენე პარტიები. სიძვირე და ეკონომიური რღვევა ქრისტიან დემოკრატების გავლენის ქვეშ მყოფ მუშებშიაც კი იწვევს უკმაყოფილებას.

სახალხო დემოკრატები ხელმეორედ აყენებენ საკითხს პეპეესელების დეპუტატების მარკისა, ბობროვსკისა და სტანჩეკის პროკურატურისათვის გადაცემის შესახებ.

### მუშათა გაფიცვა.

**ქრისტიანია** (ნორვეგია). რკინის გზის მრეწველობის მუშებმა დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა, თუ მწარმოებლებმა უარი სთქვეს ხელფასის მომატებაზე.

---

# ახალი ამბები

— **ხაშობაო ხეების მოჭრის აღკრძალვა.** მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა აღკრძალა ნაძვის მოჭრა შობის ხეების გამართვის მიზნით, რადგანაც ეს დიდ ზარალს აყენებდა ნაძვიან ტყეებს.

— **სატელეგრაფო ბოძები ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფისათვის.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი კახეთში გავაზის, ყვარელის, ურიათუბნის და ახმეტის რაიონებში სატელეგრაფო ბოძების დასათვალიერებლად და მოსაჭრელად, რომელთა რიცხვიდან 5000 მდე ცალი უნდა გადაეცეს ა. კ. ფ.-ტელეგრაფს თავის საჭიროებისათვის.

— **თეთრ გვარდიელებთან შეტაკებაში დახვრეტილ ამხანაგების ოჯახების უზრუნველყოფა.** ა. კ. ცენტ. აღმ. კომ. დაადგინა. გაგზავნოს სამუშაოზე პირველ რიგში იმ ამხანაგების ოჯახის წევრები, რომელნიც დახვრეტილნი იქნენ თეთრ გვარდიელებთან შეტაკების დროს.

— **კულტურული მზრუნველობა გემ „კრეისერზე“.** ა. კ. ცენტ. აღმ. კომიტეტმა მიიღო კულტურული მზრუნველობა კრეისერ „კომინტერნზე“.

# ჰიდრო-ელექტრონის სადგური მდ. აბაშაზე

უკვე ხორცს ისხამს ის, რაც ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში სენაკის მაზრის აღმასკომის სანუკვარ საგანს შეადგენდა. ეს არის მდინარე აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საძირკველის ჩაყრა. მდ. აბაშა თავისი იშვიათი ჩანჩქერებით, დ. მარტვილიდან 3 ვერსას მაძილზეა (წყალი ვარდება 15 საჟ. სიმაღლიდან) დიდი ხნიდან იპყრობდა რუსეთის და საზღვარ გარეთელ კაპიტალისტების ყურადღებას, როგორც ისეთი ადგილი, სადაც ცოტა შრომით და ხარჯით შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო ძლიერი ჰიდრო-ელექტრონის სადგური. რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ რაიონის ელექტრო ტრესტის წარმომადგენლები ინჟ. ლოსევი და მინასიანი, რომლებმაც დაათვალიერეს ეს ადგილი, გაოცებაში მოვიდნენ და განაცხადეს: „ბუნებას გაუკეთებია სამი მეოთხედი იმისა, რაც საჭიროა ჰიდრო-სადგურის მოსაწყობად; ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ერთი მეოთხედის გაკეთება და სადგური მზად იქნებაო“. მიუხედავად იმისა, რომ ხშირი სიარულით, ადგილის დათვალიერებით, გეგმის შესადგენად კვლევა-ძიების მოხდენით ადგილობრივ მცხოვრებლებს თავი მოაბეზრეს სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ინჟენრებმა,—ვერც თვითმპყრობელურმა და ვერც „დემოკრატიულმა“ მთავრობამ ამ საქმეს საძირკველი ვერ ჩაუყარა. აზრი მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენებისა სენაკის სამაზრო აღმასკომს დაებადა მაშინ, როცა მან შესძლო, მაზრაში მტკიცე და მოქნილი აპარატის შექმნის შემდეგ, შესდგომოდა ფართო აღმშენებლობას.

პირველად ეს საკითხი მან დასვა საბჭოების სამაზრო საგანგებო ყრილობაზე 1922 წ. ნოემბერს. ყრილობა აღტაცებით შეხვდა დასმულ საკითხს და გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ის ავალებდა აღმასკომს შესდგომოდა ამ დიად საქმეს. ყრილობა სთხოვდა აგრეთვე საქართველოს და ა. კ. მთავრობას დახმარებას ამ საქმეში.

ყრილობამ დაარსა სამაზრო კომიტეტი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ფონდის შესაქმნელად და გამოუშვა მაზრის მშრომელ გლეხ-კაცობისადმი სათანადო მოწოდება.

საქართველოს და ა. კ. მთავრობები თანაგრძნობით შეხვდნენ სენაკის მაზრის აღმასკომის განზრახვას და გამოიტანეს დადგენილება, რომლითაც ისინი საჭიროდ სცნობენ მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენებას და ფინანსიური დახმარების აღმოჩენასაც.

ა. კ. სახალხო კომისარიატმა [illegible] ფასდო ამ საქმისათვის პირველ [illegible] 10,000 მან. ოქროთი.

ამის შემდეგ სამაზრო აღმასკომი შეუდგა დაწვრილებით გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას, ა | კ. წყალშენის (ЗАКВОДХОЗ) საშუალებით. ა | წ. სექტემბრისათვის დამზადებულ იქმნა გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

საჭირო იყო კიდევ მთავრობის დასტური მუშაობის დასაწყებად, რაც სამაზრო აღმასკომმა მიიღო მიმდინარე თვის თუა რიცხვებში. ზეიძე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საძირკვლის ჩაყრის გამო სამაზრო აღმასკომმა დაუკავშირა საბჭოების სამაზრო მეორე ყრილობას. ყრილობა გაიხსნება ქ. ახალსენაკში 30 ნოემბერს; 29 ნოემბერს კი სენაკის მაზრის მშრომელი მასა მდ. აბაშის ჩანჩქერებზე იზეიმებს სადგურის საძირკვლის ჩაყრას.

საძირკველი ეყრება დიდ საქმეს; საძირკველი ეყრება მთელი მაზრის გლეხ-კაცობის განათლების და კეთილდღეობის საქმეს.

ეს დღე არ შეიძლება არ ჩაითვალოს ისტორიულ დღეთ მაზრის გლეხობისათვის.

29 ნოემბერი ოქროს ასოებით აღიბეჭდება სენაკის მაზრის მშრომელი გლეხ-კაცობის ცხოვრების ისტორიის ფურცლებზე.

მთელი მაზრის გლეხ-კაცობა ფეხზე დგას და უსაზღვრო სიხარულით ელის ამ დიადი დღის განათებას.

რამდენიმე ათასი მშრომელი გლეხი ამ დღეს გამოცხადდება მდ. აბაშის ჩანჩქერებზე ბარით და ნიჩბით, რომ საკუთარი ხელით საძირკველი ჩაუყაროს ამ დიად საქმეს.

მთელი მაზრის გლეხ-კაცობა ასეთივე სიხარულით ელის ტფილისიდან ჩვენს ბელადებს, ჩვენს ხელმძღვანელებს, ჩვენს ძვირფასს ამხანაგებს, რომ მან გაიგონოს მათი სიტყვა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ აღმშენებლობის დარგში და გულითადი მადლობა მიუძღვნას მათ ყურადღება-ზრუნვისათვის მშრომელი მასის საკეთილდღეოდ.

29 ნოემბერს საძირკველი ეყრება მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურს. გაუმარჯოს მას!

გაუმარჯოს ელექტრონის სინათლეს და ენერგიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

**ხ. მამულია.**

---

— **ა. კ. საბჭოების მეორე ყრილობა.** ა. კ. ცენტ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა: ა. კ. საბჭოების მეორე ყრილობა მოიწვიოს ექვს იანვარს 1923 წელს.

— **საბეითლო საავადმყოფოს შეკეთება.** ქ. აღმასკომის აღმშენებლობის სექციის მიერ უკვე დაწყებულია მესამე საბეითლო საავადმყოფოს შეკეთება. საავადმყოფოსათვის მზადდება მაჭირო ინვენტარი.

— **სამკურნალო დახმარება მუშფაკულტეტს.** დამზღვევმა კასამ დაადგინა უფასო სამკურნალო დახმარება გაუწიოს მუშათა ფაკულტეტის მსმენელებს.

— **ერთდროული დახმარება პენსიონერებს.** დამზ. დასის გამგეობამ გადასწყვიტა: პენსიონერებს მისცეს ერთდროული დახმარება კასის ყველა წევრებთან ერთად, მათი საჭიროების მიხედვით.

— **შრომის ბირჟა.** 27 ნოემბერს შრომის ბირჟაში ახლად ჩაეწერა 22—უმუშ. გაიგზავნა სამუშაოზე 50—უმუშ. უფლება აღედგინათ 6—უმუშევარს.

— **დახმარება სვანეთს.** ზემო სვანეთში უმაღლესი ხელისუფლების დახმარებით გაიხსნა საბავშო სახლი და საექიმო პუნქტი.

— **სატარიფო ყრილობა.** 4 დეკემბერს, მოსკოვში გაიხსნება სატარიფო ყრილობა, რომელზედაც მოწვეული არიან საბჭოთა ყველა რესპუბლიკის რკ გზ. წარმომადგენლები.

— **ანგარიშების გადაყვანა ჩერვონეცებზე** ა. კ. რკინის გზის დამზღ. კასამ დაადგინა დაზღვეულ რკ. გზელებს 1 დეკემბრიდან დახმარება მიეცეს ჩერვონეცების ანგარიშით

— **სამართლის წესით ჩამორთმეული ქონების გლეხთა კომიტეტებზე გადაცემა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს დადგენილებით ჩამორთმეული ყველა ქონება სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარათ გადასცეს საურთიერთო დახმარების გლეხთა სასოფლო კომიტეტებს.

— **მდინარეებისაგან გარიყული ხეების გლეხთა კომიტეტებზე გადაცემა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე ის ხეები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდინარეებიდან გაირიყა და ამ ჟამად მიწად-მოქმედების კომისარიატის განკარგულებაშია სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარათ გადასცეს სოფლებში საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტებს.

— რედაქციამ მიიღო სახელმწიფო გამომცემლობისაგან კ. მარქსი—„კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“, შალვა დადიანის ნაწერების 1 ტომს. დაწვრილებით შემდეგ.

— **დავკარგე.** საბჭოთა მუშაკების პროფკავშირიდან მიღებული საწევრო წიგნაკი № 7697—ჩაითვალოს გაუქმებულად.

**ნიკოლოზ გოგეშვილი.**

— **ქურდობა.** 26 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე პლეხანოვის შეს. № 13 ში მოქ. ალფერდი კუპტეს ოთახიდან მოჰპარეს სხვა და სხვა ტანისამოსი, ღირებული 13 ჩერვონეცის მანეთად.

— **ცეცხლი.** 25 ნოემბერს მანგლისის აღმასკომის შენობას გაუჩნდა ცეცხლი და დაიწვა. ზარალი უდრის ოთხ მილიარდს.

— **მკვლელობა.** 19 ნოემბერს აღბულაღის რაიონში შუაღამისას მოკლული იქმნა მოქ. ილიკო ბოლტითაშვილი მცხ სოფ. გუმანისში. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია. მოკლულს ზედ აღმოაჩნდა თათრული თოფი, 35 ცალი ვაზნით.

— **ქურდობა.** 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე მოქ. ივანე ბუდალიანის საბილიარდოდან რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზე, მოიპარეს 16 ბილიარდის შარები, ღირებული, 20 ჩერვონეცად.

— **ქურდის შეპყრობა.** 24 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. ნინა ივანოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში.

— **ვალიუტის კურსი.** 29 ნოემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 175.000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 168,000 | „ |
| ჩეკი. | 163,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 38,500 | „ |
| ჩეკი. | 35,00 | „ |
| ოსმალური ლირა | 20,700 | „ |
| საბჭოთა ფული | 13,000 | „ |

# ხელოვნება

**ვ. ლაზარენკოს გასტროლები.** ძმ. ტენტების ცირკში ეს რამდენიმე დღეა რაც დაიწყო მოსკოვის სახელმწიფო ცირკის, ცნობილი იუმორისტ-სატირიკოსის ვიტალი ლაზარენკოს გასტროლები. ხუმარა-სატირი ლაზარენკო, განსაკუთრებული მოვლენაა ცირკის არენაზედ.

მისი სახიობის უნარი უმთავრესად პოლიტიკური სატირაა, რომლითაც მან საზოგადო ყურადღება მიიპყრო მთელს რუსეთში, და სატახტო ქალაქების პრესა დიდის სიამოვნებით აღნიშნავს ამ მოვლენას.

ლაზარენკოს ცირკულ სახიობის ნიჭი მრავალფეროვანია, მან სახელი გაითქვა როგორც დიდ მანძილზედ მხტომმა, მაგალითად ის ხტება. ერთ რიგზედ „შერინგით“ მდგომ 10 ადამიანზედ, 8 ცხენზედ, სამს სპილოზედ, 2 ავტომობილზედ.

ლაზარენკო ცნობილია აგრეთვე როგორც კინოს მსახიობი. მისი მონაწილეობით გადაღებულია რამოდენიმე შესანიშნავი სურათი „კინო-ფილისა" რომელშიც მან გამოიჩინა დიდი არტისტიული ნიჭი მისი მონაწილეობით გადაღებულია კომიკური სურათები ხანჟენკოვისაგან. „ჩემპიონ ნა იზნანკუ „ღამე, მთვარე, ქალი და ვაჟი".

„სიყვარული და თვალ ჟუჟუნა" და მრავალი სხვა, რეჟისორმა ა. სანინმა რომელმაც მიიწვია ლაზარენკო, რომლის მონაწილეობითაც მან გადაიღო „ანტი ქრისტე" და „დევი გორი". გარდა ამისა იგი მიიწვია ცნობილმა მსახიობ ქალმა ლ. იავორსკაიამ, თავის დასში როდესაც ის სდგამდა მთელი სეზონის განმავლობაში პიესას „უმაღლესი სკოლის მოჯირითე ქალი" აქ თავისი არტისტიული თამაშით დიდი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებასა და პრესის, ლაზარენკოს იცნობენ აგრეთვე მწერლობაშიც, იგი თავისი მწარე იუმორის და სატირის, გულისათვის არა ერთხელ გაუძევებიათ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან, ძველი რეჟიმის დროს. მაგალითად იგი გაძევებული იყო 1909 წ. ქ. ორენბურგიდან. ცირკში წარმოთქმულ „რუსეთის კონსტიტუციი"-ს გულისთვის. სტანიცა ალჩევსკი-დან „განსხვავება ყაზახებზა და საათის შორის" სარატოვიდან 1912 წ. გრიშკა რასპუტინ"-ის გულისთვის და სხვა მრავალი, მაგრამ მიუხედავათ ასეთი დევნისა იგი სხვა ქალაქებში უფრო გაბედულათ გამოდიოდა ცირკის არენაზედ თავისი ულმობელი „პოლიტიკური სატირით" რითაც მან დიდი სახელი ღაიმსახურა.

მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია ბიოგრაფია ლაზარენკოსი, საინტერესო ალბომს ამშვენებს აუარებელი ავტოგრაფები რუსეთის ბევრ მწერალ მოღვაწეთა, რომელნიც გულმხურვალეთ ამკობენ იმის ბუნებრივ სახიობის ნიჭს, სხვა მრავალ სახელებთა შორის თქვენ ნახავთ, სახელებს, ლუნაჩარსკი-სას, სუმბათაშვილი-იუჟინი-ის, მწერალ კუპრინის, მსახიობ ქალის მ. ნეჟდანოვი-ს, შერშენევიჩის, ვ კამენსკის და სხვა.

ვ. ბ.

—

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს 29 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში „მეფის საცოლე" ოპერა 4 მოქმედებათ და ხ სურათად. მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა. ლოტბარობ დამსახურებული არტისტი რუსეთის სახელმწიფო თეატრებისა. ი. ფალიაშვილი.

—

ხუთშაბათს 29 ნოემბერს, მეორედ წარმოადგენენ ვ. დოლიძის კომიკურ ოპერას „ქეთო და კოტე" ს. იცაკვებენ: ჭაბუკიანი, ალბერტი, ბარხუდაროვი, ს. სერგეევი, ლოტბარობს ა. ჩაგუნავა.

—

**რუსთველის თეატრი.** დღეს 29 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება „გმირი" კომედია 3 მოქ. ჯონ-სინგისა. თარგმანი გ. რობაქიძისა. პიესს წარმოადგენენ ახალის შემადგენლობით დადგმა რეჟისორის კ. მარჯანიშვილისა დეკორაციები მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავისა.

—

**რუსული დრამა.** დღეს 29 ნოემბერს სახალხო სახლში რუსულ აკადემიური დასის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება ოსტროვსკის ცნობილი კომედია „სიღარიბე ნაკლი არ არის" 4 მოქმედებათ ცეკვით, სიმღერებით, და თამაშით, მუსიკალურს ნაწილს განაგებს კომპოზიტორი ს. გ. პანიევი. დასდგამს რეჟისორი ფ. რიდოლინი.

—

**წითელარმიელთა ცენტრალური კლუბი.** ქართულ წარმოდგენების მართვა წითელარმიელთა კლუბში დაიწყობა 1-ლ დეკემბრიდან, კვირაში ორი წარმოდგენა გაიმართება, რეპერტუარი შედგენილი იქნება უმთავრესად რევოლიუციონური პიესებიდან

—

**პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის იუბილე.** 2 დეკემბერს 30 წლის სამწერლო ასპარეზზედ მოღვაწეობის იუბილეს უმართავენ პროლეტარულ პოეტს აკოფ აკოფიანს.

## ბიბლიოგრაფია

„ჩვენი მეცნიერება", ყოველთვიური სამეცნიერო კრებული № 4—5, 112 გვ. ტფილისი 1923 წ.

ჟურნალი იწყება **ს. გორგაძის** ბიბლიოგრაფიული ნარკვევით: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში" ამ წერილის დასაწყისი დაიბეჭდა ამავე ჟურნალის № 2 და 3-ში. ავტორს მოჰყავს საინტერესო ბიბლიოგრაფიული ცნობები ფილოსოფიური ლიტერატურის შესახებ ქართულ ენაზედ. ავტორს აწერილი აქვს 40 საფილოსოფიო ნაწარმოები, რაც აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ქართველი ინტელიგენტისათვის. აბა რამდენი ჩვენი ინტელიგენტი დაიკვეხნის, რომ იცნობს ამ ლიტერატურას, ან იცოდა მისი არსებობა?

შემდეგ ჟურნალში მოთავსებულია პროფ. **კ. კეკელიძის** გამოკვლევა: „ვახტანგ გორგასლანის ისტორია და მისი ისტორიკოსი". დღემდის, როგორც ავტორი აღნიშნავს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია ი. ჯავახიშვილის აზრი, რომ „ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ვახტანგ გორგასლანამდე დაწერილია **ლეონტი მროველის** მიერ მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო მისი გაგრძელება არჩილ მეფის წამებამდე დაუწერია **ჯუანშერ ჯუანშერიანს** იმავე საუკუნის მეორე ნახევარში. თვით ავტორიც წერილისა ამავე აზრისა ყოფილა დღემდის, მაგრამ ეხლა მატიანეს ისტორიულ-ლიტერატურულ შესწავლას დაურწმუნებია პატივცემული მკვლევარი, რომ ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. მისი აზრით „ცხოვრება ვახტანგ გორგასლანისა არის განუყრელი ნაწილი ეგრედ წოდებულის **მეფეთა ცხოვრებისა**; ის დაწერილია არა ჯუანშერის, არამედ **ლეონტი მროველის** მიერ".

მესამე ადგილი ჟურნალში უჭირავს **გ. ნათაძის** წერილს: „მსხვილი მიწადმფლობელობა უძველეს საბერძნეთში". ავტორის აზრით ძველ საბერძნეთში თუმცა იურიდიულად არ არსებობდა დიდი მამულები, მაგრამ ფაქტიურად მიწა-წყალი უმცირესობის განკარგულებაში იყოო. მით უფრო საკვირველია, რად მიაჩნია ავტორს არისტოტელის წყარო ზერელედ და უსაბუთოდ? ისიც ხომ ფაქტიურ მდგომარეობას აღნიშნავს, როცა ამბობს: „მთელი მიწა უმცირესობის ხელში იყოო".

ავტორი ლაპარაკობს მთელ საბერძნეთზედ, მაგრამ ეხება თითქმის ატიკას და სრულიად არაფერს ამბობს ლაკონიაზედ. ეს უკანასკნელი კი დღეს უფრო საინტერესო იქნებოდა ჩვენთვის თავისი სამხედრო კომუნიზმით და მიწის თავისებური ნაციონალიზაციით.

შემდეგი ადგილი ჟურნალში უჭირავს **ი. ჯავახიშვილის** „ქართული ერის ისტორიას", წიგნი მეოთხე. პატივცემული პროფესორი წინასიტყვაობაში ამბობს, რომ ჩვეულებრივ პირობებში მეოთხე წიგნს ამ სახით არ დაბეჭდავდა, ვინაიდან მას მონოგრაფიის ხასიათი აქვს. მაგრამ საქართველოს ისტორიის ამ ხანის კრიტიკული ისტორიის სრულმა უქონლობამ მაიძულა გამომექვეყნებია მეოთხე წიგნიო. მიზეზი საპატიოა და ფრიად სასიამოვნოა, რომ ეხლა მაინც იბეჭდება ეს წიგნი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ამაოდ დებულა სახელმწიფო გამომცემლობაში და განკარგულებაც ყოფილა მისი სასწრაფოდ დაბეჭდვისა. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ი. ჯავახიშვილს და მის „ქართველი ერის ისტორიას" და ჩვენ არ შეგვიძლია მისი ჯეროვანად შეფასება, მით უფრო გაზეთის ფურცლებზედ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ერთად ერთი და თავიდან აუცილებელი ნაკლი,—მონოგრაფიული ხასიათი წიგნისა,—აღნიშნული აქვს თვით ავტორს წინასიტყვაობაში, როგორც უკვე მოვიხსენიეთ.

ბოლოს ჟურნალს დართული აქვს ტფილისის უნივერსიტეტის 1922 23 წლის სამოსწავლო გეგმა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების 1920 წლის ანგარიში.

როგორც მკითხველი ხედავს, ჟურნალის ეს ნომერი შედგენილია მეტად ცალმხრივად და ერთფეროვნად. არ შეიძლება **ჩვენი მეცნიერება** მარტო ისტორიული მასალით ამოიწუროს... გარდა ამისა ასეთი ერთფეროვანი ჟურნალი ინტერესს ვერ გამოიწვევს და ვერ გავრცელდება. ამ მიზნისათვის კი აუცილებელია ჟურნალში მოთავსებული იქნეს წერილები მეცნიერების ყველა დარგიდან.

დილეტანტი.

—

**სიმონ ხუნდაძე—თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები**
წიგნი პირველი—იმპერიალიზმი ნავთის საკითხში. 209 გვ. სახელმწიფო გამომცემლობა.

შეუძლებელი არის ქართველი მკითხველი აღფრთოვანებით არ შეხვდეს მსგავს შრომას. არა მარტო იმპერიალიზმის კერძო საკითხები და განსაკუთრებული დარგები არის განხილული ჩვენს ლიტერატურაში, არამედ არ არსებობს თანამედროვე იმპერიალიზმის საერთო ბუნების გარკვევაც კი, მიუხედავათ ამ სიტყვის ყოველდღიურ ხმარებისა პრესასა და ქუჩაში შეუძლებელი არის დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობის ახსნა და მათში ორიენტაცია, თუ კი საკმაოდ საფუძვლიანად არ იქნა გარკვეული, თანამედროვე იმპერიალიზმი მისი გეხეხისი და ნამდვილი ბუნება. ძირითადი საკითხები ამ იმპერიალისტურ პოლიტიკასა წარმოადგენს იმ კვანძებს, რომლის გახსნას ამაოდ სცდილობენ ევროპისა და ამერიკის დიპლომატები და რომელნიც შეადგენენ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სიმძიმის ცენტრებს. მიუხედავად ამ საკითხის ასეთი მნიშვნელობისა, ჩვენი ლიტერატურა ამ მხრივ ცარიელი იყო და პერიოდული გამოცემების დღიური წერილები თუ ეხებოდენ ზერელეთ, რასაკვირველია,—ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს მარტო ეს გარემოება საკმაო იქნებოდა წინამდებარე წიგნის გასამართლებლად.

ამხ. სიმონ ხუნდაძის პირველი წიგნი მიძღვნილი არის ნავთის საკითხისადმი; თემა, რომელიც უცნობი არის ჩვენი საზოგადოებისათვის და ამასთან უმთავრესი საგანი დღევანდელი იმპერიალისტურ პოლიტიკისა. წიგნის პირველ თავში მოცემული არის საწვავ მასალებისა (ნახშირის და ნავთის) და რეინის გარშემო არსებული უთანხმოების ზოგადი მიმოხილვა აქედან თქვენთვის იშლება ის გზა, რომლითაც ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტური სახელმწიფოები მოემართებიან საერთაშორისო ბრძოლის სარბიელზე. აქვეა ვერსალის ხელშეკრულობით შექმნილი მდგომარეობის გარკვევა და შემდეგი წლების ინტერესი ამ საკითხისადმი.

მკითხველისათვის სანახევროდ გაუგებარი დარჩებოდა ნავთის გარშემო ატეხილი ბრძოლის ძირითადი მიზეზები, რომ ის წიგნის მეორე თავშივე არ ეცნობოდეს ნავთის როლის მნიშვნელობას მსოფლიო მეურნეობაში. ამ თავს ალბად მრავალი წაიკითხავს განსაკუთრებული ინტერესით და მრავალთვის გახდება ნათელი ნავთის ტეხნიკური მნიშვნელობა, მისი როლი საერთაშორისო ომსა და წარმოებაში. ამავე თავშია დალაგებული ნავთის მნიშვნელობის ზრდა უძველეს დროიდან დაწყებული დღემდე და ის განვითარება, რომელმაც ეს სითხე ოქროზე ძვირფას მასალად აქცია და რომელმაც ნავთის იმპერიალისტური პოლიტიკის პერიოდამდე მიგვიყვანა.

მესამე თავში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ნავთის პოლიტიკაა გადმოცემული. ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის შეწყვეტა მსოფლიო ომის დასასრულის შემდეგ, ინგლისის ბრძოლა მშვიდობიანი, ეკონომიური გზით ნავთის რაიონების დასაპყრობათ, ნავთის მარაგით უპირატესობა ინგლისისა ამერიკასთან შედარებით და ამ ნიადაგზე დავუძნებული კონფლიქტი—ყოველივე ეს გადმოცემულია ზედმეტი ციფრებით დატვირთვის გარეშე, და რაც მნიშვნელოვანია, გაშუქებულია უცხოელ დაინტერესებულ მხარეთა ავტორებით. დაწვრილებით არის განხილული ამერიკას ნავთის პოლიტიკა დაწყებული მე 19 საუკ. მეორე ნახევრიდან დღემდე. აბსოლიუტური და შედარებითი ციფრები და შერჩეული ფაქტები ამერიკის ტრესტების გავლენის სფეროების გაფართოების ნათელ სურათს იძლევიან მოპირდაპირე მხარეებთან შედარებით. განსაკუთრებული ყურადღებით არის განხილული ინგლის-ამერიკის კონფლიქტი კერძოდ სპარსეთის ნავთის მაგალითზე და იქ წარმოებული დაუსრულებელი ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოებისა. აქ მკითხველის წინაშე გადაშლილი არის თანამედროვე კაპიტალიზმის კოლონიალურ და იმპერიალისტური პოლიტიკის საუცხოვო ნიმუშები. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ძირითადი მიზანი ეკონომიური ბატონობის სფეროთა გაფართოება და გაძლიერება არის; და ჩვენ ვხედავთ თუ ეს სახელმწიფონი როგორი თავგამოდებით ემსახურებიან ამ მიზანს, სთელავენ და სრულებით ანგარიშს არ უწევენ რა მცირე ერთა ინტერესებსა და უფლებეს. მთელ რიგ იურიდიულად კოლონიალ ქვეყნებს გარდა იმპერიალიზმის უხეში კლანჭები არ სცილდება იურიდიულად დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოებსაც და სპარსეთის მაგალითზე ჩვენ იშვიათ დასურათებას ვპოულობთ ასეთი პოლიტიკისას. მეფის რუსეთი, ინგლისი და ამერიკა ისევე ვულდასწით ანხორციელებდენ თავიანთ იმპერიალისტურ მიზნებს. ამ „სუვერენულ" სახელმწიფოს სხეულზე როგორც ამას საკუთარ კოლონიებში სჩადიოდენ. მაგრამ რაც მთავარი არის, ეს ის, რომ საკუთარი ინტერესებისათვის იმპერიალისტები არ ერიდებიან წვრილ ერთა შორის შუღლის, მტრობის და აჯანყების მოწყობას, ერთმანეთის წინაამდეგ ამხედრებენ მათ და ზოგიერთ მათგანს საკუთარი მიზნების განსახორციელებელ იარაღად იყენებენ. ამ უკანასკნელთა რიცხვს შეადგენენ სპარსეთის ბახტიარები, რომელნიც ინგლისის მიერ საკუთარი პოლიტიკის საუკეთესო გამტარებელნი არიან. იმპერიალისტმა იციან ერების გულის მოგება, მათი ინტერესების საკუთარ ინტერესებთან დაკავშირება და აი, ინგლისი, გადაუგდებს რა ბახტიარების ხანებს ნამცეცებს,—მცირე პროცენტებს შემოსავლიდან,—ამით ეკონომიურად დაინტერესებულ მოკავშირეს იძენს ადგილობრივ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

ინგლისის ასეთი პოლიტიკის საკმაოდ ვრცელი მიმოხილვას. შემდეგ ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს: „მოყვანილი ფაქტები ნათელსყოფენ საზოგადოდ იმპერიალისტურ პოლიტიკის შინაარსს ჩამორჩენილ ქვეყნებში, სულ ერთია დამოუკიდებელი იქნება ეს ქვეყანა, თუ კოლონიალი; მეორეს მხრით სპარსეთის დღევანდელი მდგომარეობა ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი მომავალი მოელოდა ჩვენს ქვეყანას ამიერკავკასიაში ანტანტის ძალების გამარჯვებით.

ჩვენში იყვენ პოლიტიკოსები,—ეხლა ისინი პარიზის ქუჩებს ამშვენებენ,—რომელნიც ამტკიცებენ ანტანტის ძალების აუცილებელ საჭიროებას ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის.

თუ როგორ და რა გზით აღორძინებდენ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩვენს სამშობლოს ამის უტყუარ ისტორიულ ფაქტებს იძლევა სპარსეთის მაგალითი. საკმარისია ზერელეთ მაინც გადაათვალიეროთ სპარსეთის ფაქტები და ინგლისის პოლიტიკის შედეგები, რომ ზიზღით უარყოთ ანტანტის ორიენტაცია და მთელი თქვენი შეგნებით დადგეთ იმ დროშის ქვეშ, რომელსაც ემსახურება კომუნისტური ინტერნაციონალი"... (გვ. 123).

ეს თავი ისე სრულდება, რომ არ არის მთლიანი განხილვა გერმანეთის იმპერიალისტურ პოლიტიკისა ნავთის საკითხში; ვერსალის ზავის მიერ გერმანიის ჩამოცილება ნავთის წყაროებიდან, იმას ნიშნავს, [illegible] იმპერიალისტურ პოლიტიკას ამ საკითხში თავისი ისტორია არ ქონდეს [illegible] განმავლობაში გერმანეთის მრეწველებმა, რომელთაც სათავეში ბანკები: Deitsche Bahk ⅋ Disconto gesellschaft უდგნენ სათავეში, დიდი მუშაობა გასწიეს რუმინიის ნავთის მრეწველობის მოსაწესრიგებლად და მოსაწყობად. გერმანეთი უმთავრესად ამ გზით იკმაყოფილებდა ნავთისა და მისი პროდუქტების მოთხოვნილებას. თვით ამის წლებშიც გერმანელი დიპლომატების ცდა იქით იყო მიმართული, რომ ეს გამოსადეგი მოკავშირე შეეძინათ. ამას გარდა გერმანიას თავისი წილი ქონდა მესოპოტამიის ნავთის ექსპლოატაციის საქმეში, რომელიც 1914 წელს ინგლესსა და გერმანეთის შორის დადებული ხელშეკრულებით იყო გამაგრებული. ამ უკანასკნელ წლებშიც გერმანიის მსხვილმა სამრეწველომ Deutsche Erdöl Aktieh—gesellschaft და სხვებმა შესძლეს თავისი ხვედრი წილიც გაეჩინათ მექსიკისა და სამხრეთ-ამერიკის ნავთის მრეწველობაში და ნავთის საკმაოდ დიდი რაოდენობის ამოღების გამო მრთელ საოპერაციო წელს თავიანთ აქციონერებს 400 პროც. დივიდენდიც კი დაურიგეს. ასე რომ გერმანეთის პოლიტიკის განხილვა ამ საკითხში, თუნდა არა დაწვრილებით, კიდევ უფრო მეტ სისრულეს მისცემდა საკითხის გაშუქებას.

თავი: „ნავთის საკითხი და დიპლომატია" შლის ვერსალის ზავიდან დაწყებულ დიპლომატიურ ბრძოლის სურათს ნავთის საკიხში ყველაზე უფრო ახალია და ინტერესით სავსე გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით განხილული საქართველოს საკითხი და მენშევიკების ცდა ნავთის საკითხის გამოყენებისა. აქ ქართველი მკითხველი ნათელ წარმოადგენას მიიღებს იმ საკითხზე, რომელიც მას ხშირად ყურმოკვრით სმენია და რომელიც ასე აღელვებდა ჩვენს საზოგადოებას. ეს თავი განსაკუთრებულ სიცხოველესა და ინტერესს აძლევს მთელ წიგნს.

წიგნი მოიგებდა დალაგების მხრივ, რომ მეხუთე თავი მესამეში მოთავსებულიყო, ან მის შემდეგ. ამ თავში მოსულის ნავთის საკითხია განხილული. გერმანეთის, საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის ბრძოლის სურათი „ავათმყოფ ადამიანის" სხეულზე,—ერთხელ კიდევ გვახსენებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ზღვარუდებელ მადას და იმ პოლიტიკას, რომელიც ასე ულმობელად სთელავს და ანადგურებს მცირე ერთა უფლებებსა და ინტერესებს. წიგნი იხურება კაპიტალისტურ მეურნეობის მოკლე ანალიზით და პროლეტარიატის ინტერესების გათვალისწინებით იმპერიალისტური ბრძოლის ორომტრიალში.

აქ მნიშვნელოვანი არის იმ საკითხის გარკვევა, თუ რა მიზნებისათვის იყენებენ იმპერიალისტური სახელმწიფოები ამ ბუნებრივ დოვლათებს,—რომელთაც ამდენად დიდ ენერგიასა და მატერიალურ რესურსებს ახარჯვენ და რამდენად, ჰარმონიულია ამ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია მათ ხელში სახალხო მეურნეობის საერთო სისტემასთან შეფარდებით. ავტორი საკითხის გასარკვევად უმთავრესად თვით დაინტერესებულ მხარეებს ალაპარაკებს. „რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება",—ეს არის ძირითადი მამოძრავებელი კაპიტალისტურ მაგნატებისა; ამ მიზნის სამსხვერპლოზე მიაქვთ მათ უამრავი სიმდიდრე და დოვლათი. წარმოების ინტერესებსაც ესევე მიზანი შეადგენს და მეურნეობის განვითარებას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ის მთავარ მიზანს ემსახურება. ავტორი ამბობს: „ანარქიული ხასიათი კაპიტალისტურ მეურნეობისა და მის მიზან შეუწონლობა წარმოების საქმეში განსაკუთრებით მჟღავნდება ნავთის მრეწველობაში. მთელი ისტორია ნავთის მრეწველობისა ნათლად ამტკიცებს, რომ კაპიტალისტურ მაგნატების მიერ ნავთის ამოღების და მისი ორგანიზაციის საქმე ყველაზე უფრო მძლეცურ მეთოდებით სწარმოებდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მთელს კაცობრიობას" (გვ. 200) ამ დებულების საუცხოვო იულიუსტრაცია არის ამერიკისა და რუსეთის ნავთის ექსპლოატაციის მაგალითები. როგორი უნდა იყოს ასეთ პირობებში პროლეტარიატის დანიშნულება და საით უნდა გაიმარჯვოს მან თავისი ინტერესები? ავტორი უპასუხებს: „კაპიტალისტური მეურნეობა და კაპიტალისტური მეთოდები წარმოებისა აღარ შეესაბამება ეკონომიურ ცხოვრების წარმატების საქმეს და იგი კაცობრიობის პროგრესის შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა. ამიტომ შეცვლა **ამ დახავსებულ სამეურნეო ფორმაციისა ახალი ეკონომიური წყობილებით**, მორიგ ამოცანას წარმოადგენს რევოლიუციონურ პროლეტარიატისათვის" (გვ. 208).

ენის მხრივ წიგნი დამაკმაყოფილებელია, დეფექტები განსაკუთრებით პირველ ნაწილშია მოქცეული, უფრო ციტატების თარგმანში. არის დაუშვებელი გამოთქმები: „სადამოუნო", „სნარიადებს", „ზაკასპიი" და სხ. ტეხნიკურად წიგნი კარგად არის გამოცემული: სუფთა შრიფტი, საკმაოდ კარგი ქაღალდი. მრავალი ქართველი მკითხველი ისურვებდა ალბად, ჩვენთან ერთად, მსგავს მნიშვნელოვან შრომების ხშირად ხილვას ჩვენი გამომცემლობის ბაზარზე...

გ. გამყრელიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება [illegible] ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 860 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სა. კრონშტადტის ქ. № 4